ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4590408

ნომერი: AR1687136

თარიღი : 04.07.2019

გაცემის თარიღი : 16.07.2019

გაცნობის თარიღი : 16.07.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მეფე მირიანი , N 70;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირმა ბურდული პ/ნ 01010006828
- თბილისი ბუდაპეშტის ქ. N 7 ბ. 48ა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მირიან მეფის ქუჩა, N70, შპს „გურმე“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №038/094), სამსახურის მიერ 31/12/2018წ. AR1649810 განცხადებაზე № 4325237 გადაწყვეტილებით გაცემული სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე („ა-ე“ ფასადზე ცხაურების მოწყობა და ფასადზე ღიობების გაბარიტული ზომის ცვლილება), დამატებით I კლასის ღობის (1.8 მ ყრუ) მოწყობას.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.
”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №892018763705 06/09/2018წ. საკადასტრო კოდი №01.72.14.038.094, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, მირიან მეფის ქუჩა, N70, შპს „გურმე“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №038/094), სამსახურის მიერ 31/12/2018წ. AR1649810 განცხადებაზე № 4325237 გადაწყვეტილებით გაცემული სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე („ა-ე“ ფასადზე ცხაურების მოწყობა და ფასადზე ღიობების გაბარიტული ზომის ცვლილება), დამატებით I კლასის ღობის (1.8 მ ყრუ) მოწყობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.